№ 955/09-8 "27" თებერვალი 2015

შპს „ვაზისუბნის N15“-ის დირექტორს

ბატონ მამია ჯაშს

მისამართი: ქ.თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა N27

საკონტაქტო ნომერი: 597127711

ბატონო მამია,

2015 წლის 26 თებერვალს, სს „სილქნეტში“ შემოვიდა თქვენი წერილობითი განცხადება N8/882, სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ელემენტების გადატანის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შესახებ.

2007 წლის 04 ივნისის საქართველოს მთავრობის N134 დადგენილების საფუძველზე, საკომუნიკაციო ელემენტები წარმოადგენენ სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ სახაზო ნაგებობებს. შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ, მათ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაში განთავსებული (გამავალი) ხაზობრივი ნაგებობების თვითნებურად გადატანა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, სახაზო ნეგებობების მფლობელი იურიდიული პირის მიერ დადგენილი პროცედურების წესების დაცვის და წერილობითი თანხმობა/ნებართვის გარეშე.

შესაბამისად, იმისთვის რომ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდეს საკომუნიკაციო ელემენტების გადატანითი სამუშაოები, აუცილებელია ჩვენმა კომპანიამ განახორციელოს აღნიშნული სამუშაოების სათანადო პროექტის მომზადება, რომლის მომზადების ღირებულებაც განისაზღვრება სს „სილქნეტში“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. მომზადებული პროექტით განისაზღვრება ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება.

პროექტის მომზადების შემდგომ, თქვენი მოთხოვნის და სს „სილქნეტისთვის“ პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების გადახდის შემთხვევაში, ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული საკომუნიკაციო ელემენტის გადატანას აღნიშნული სამუშაოების ჩატარების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

ნუგზარ ჩინჩალაძე

კომერციული დირექტორი